

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის

დეპარტამენტის უფროსებს

ფაკულტეტის ხელმძღვანელობა მოგმართავთ თხოვნით მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე განახორციელოთ 2-3 საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან შეხვედრის ორგანიზება, რომლის დროსაც სასურველია ვიდეო ტექნიკის გამოყენებით, უზრუნველყოთ თქვენს დეპარტამენტებში არსებული სასწავლო პროგრამების და სპეციალობების აგიტაცია-პროპაგანდა აბიტურიენტთა შემდგომი მოზიდვის მიზნით.

ინფორმაცია აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურში მიმდინარე წლის ბოლომდე.

ფაკულტეტის დეკანი

ფაკულტეტის მენეჯერი

ო. გელაშვილი

გ. გოლეტიანი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსებს

მოგმართავთ თხოვნით მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე მოგვაწოდოთ დეპარტამენტების ბალანსზე არსებული მატერიალურ ფასეულობათა ნუსხა, ამავდროულად ჩამოსაწერი ქონების ჩამონათვალი გთხოვთ გამოყოთ ცალკე.

ინფორმაცია მოგვაწოდეთ როგორც ელექტრო ვერსიის სახით CD-დისკზე, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და მატერიალური პასუხისმგებელი პირის ხელის მოწერით.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

ფაკულტეტის მენეჯერი

გ. გოლეტიანი